

# როგორია საოლქო საარჩევნო კომისიის შედეგადგენლობა

ნატალია ცისკარაშვილი

საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების შესახებ პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია. ძირითადი შენიშვნები ოპოზიურ პარტიებს საარჩევნო კოდექსთან აქვთ, იმ ნაწილში, სადაც საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება პარტიების წინა საარჩევნო რეიტინგების მიხედვით ხდება.

საოლქო-საარჩევნო კომისიაში 13 წევრიდან 6 წევრს კონკურსის საფუძველზე ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია; 7 წევრს კი ნიშნავენ პარტიები. საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები არიან: კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი.

„ქართული ოცნების“ გურჯაანის ოფისის ხელმძღვანელის, აკაკი ბეგაშვილის განცხადებით, საარჩევნო კოდექსი მმართველი პარტიის ინტერესებზეა მორგებული. რაც შეეხება საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებას, მიუხედავად იმისა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის 13 წევრიდან „ქართული ოცნებას“ მხოლოდ 2 წევრი ჰყავს, გამარჯვების იმედი მაინც აქვთ:

„დღევანდელი საარჩევნო კოდექსი ვერ უზრუნველყოფს არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას. პრაქტიკულად საარჩევნო კოდექსი მორგებულია მმართველი პარტიის ქმედებაზე. თუ კოდექსი არასამართლიანია, ამ შემთხვევაში დაკომპლექტებაც არასამართლიანია. 5+1 მათაა ხელში და კომისიის წევრების უმრავლესობაც მმართველ პარტიას ეკუთვნის. 13 კომისიის წევრიდან მხოლოდ ორია ჩვენი პარტიდან, მაგრამ ამ ყველაფერს გაგებით ვეკიდებით. დარწმუნებული ვართ, რომ ამ არჩევნებში გავიმარჯვებთ“.

ბეგაშვილისვე განცხადებით, პარტიის წევრები მალაქვალ-ფიციურნი არიან, ჩაუტარდათ

სწავლება, კომისიის წევრები და უბანზე მყოფი პირები მომზადებული არიან. მისივე თქმით, ხელისუფლება ამბობს, რომ საუბნო კომისიებში მყოფი ადამიანები უბნებზე ნეიტრალური არიან, რაც სიმართლეს არ შეესაბამება:

„ხელისუფლება ამბობს, რომ ეს ადამიანები ნეიტრალური არიან, მაგრამ ვიცით, რომ წინეს ქვეშ არიან. იძულებული არიან, ემსახურონ, რადგან მაგალითად პედაგოგები, სამსახურებს დატოვებენ, ისედაც სოციალურად რთული დროა. ასეთი კომისიის წევრები ჰყავთ უბნებზე. უმრავლესობა გასულ არჩევნებზე იყვნენ წევრები და პრაქტიკული გამოცდილება გააჩნიათ“.

ბეგაშვილისვე თქმით, საარჩევნო პროცესის შეუფერხებლად წარმოებისათვის პრაქტიკული საქმიანობაა საჭირო:

„ხელისუფლებას გააჩნია რესურსები, მათ შორის, ადმინისტრაციული რითაც ცდილობენ არჩევნების გაყალბებას. მაგრამ მორალური, ინტელექტუალური და ადამიანური რესურსები გააგაჩნია იმისათვის, რომ მათ გაყალბებაში არაფერი გამოუყვებ. ტექნოლოგიური საშუალებები გააგაჩნია, მაგრამ ამაზე არჩევნების შემდეგ ვისაუბროთ“.

რესპუბლიკური პარტიის წევრის, ზურა დანელიშვილის თქმით, კომისიის წევრები, რომლებსაც წინა არჩევნების დროს დაეკისრათ სხვადასხვა სახის სანქციები დაფიქსირებული დარღვევების გამო წლებად წინასაარჩევნო პროცესებში აქტიურად იყვნენ ჩართული:

„2010 წელს ადგილობრივი არჩევნებზე გურჯაანის 47-ე უბანზე დარღვევები სასამართლომ დაადასტურა და კანონის მიხედვით თავმჯდომარე თ.ხუციშვილსა და მის მდივანს აღარ უნდა მიეღოთ მონაწილეობა შემდეგ არჩევნებში, როგორც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს. წლებად წინასაარჩევნო პერიოდში არჩევნების დროს მაშინდელმა თავმჯდომარემ ოლქში შეიტანა განაცხადი კომისიის წევრობასთან დაკავშირებით, რაც

საოლქო დააკმაყოფილა. მომხდარი ფაქტი ცესკოში გავსაჩივრეთ, რის შემდეგაც იგი კომისიის წევრობიდან მოიხსნა.“

მისივე თქმით, საოლქო კომისიის წევრები არაფერს აკეთებენ, ხოლო კომისიებში მასიურად არიან შერჩეულნი სკოლის დირექტორები, ადმინისტრაციის და მასწავლებლები:

„გურჯაანის ოლქში 51 უბანია, თითოეულ უბანზე 13 წევრი. საოლქო კომისიის წევრები არაფერს აკეთებენ, დანიშნვიდან პირველი 2 კვირის განმავლობაში მათ უნდა მოეხდინათ სივების დაზუსტება და ჩატარებინათ სხვადასხვა სახის საშუალოდ და პარტიის მხარდამჭერები. მინდა დავამატო, რომ ხელისუფლება და საარჩევნო კომისია პრაქტიკულად ერთიდაიგივე ორგანიზმია“.

დანეშვილისვე თქმით, საარჩევნო ადმინისტრაციაც ისევეა დაკომპლექტებული როგორც საუბნო კომისიები:

„რაც შეეხება საარჩევნო ადმინისტრაციას, ხელისუფლებას ყავს კომისიებში პარტიის მხარდამჭერები. ის 6 წევრები, რომელიც არაპარტიული და დამოუკიდებელია, სინამდვილეში მათ მიერ არიან შერჩეული. შესაბამისად, მათი კვალიფიკაციაც დაბალია. მათ სიას ადგენს ნაციონალური მოძრაობა და გამეობა ერთობლივად, მერ უგზავნიან საოლქოს და ისინიც მიწვილი სიას ეთანხმებიან. მოგიყვანთ ერთ მაგალითს: 450 ადამიანი უნდა აერჩიათ კომისიებში, რომელსაც

სულ 40 წუთი მოანდომეს, ხელის აწევას ვერ ასწრებდნენ. აქედან გამომდინარე რაღაზეა საუბარია. ეს ძირითადი ბირთვი, რომელიც საარჩევნო უბნებშიც არიან, ეწვიან ავტოკრატს, აკონტროლებენ სკოლასაც და შედეგით უნდა დადონ ისეთი, როგორც ხელისუფლებას სჭირდება.“

სამარცხვინო ფაქტია, რომ სკოლების უბნებზე დირექტორი, მოადგილე და ბუღალტერი არიან თავმჯდომარე და მოადგილეები.



სულ ერთიდაიგივე პირები არიან წარმოდგენილი საარჩევნო კომისიებში, თითქმის ყველა წევრი ნაციონალურ ახლობლებს არიან და პარტიის მხარდამჭერები. მინდა დავამატო, რომ ხელისუფლება და საარჩევნო კომისია პრაქტიკულად ერთიდაიგივე ორგანიზმია“.

მმართველი პარტიის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის, ზაქარია იაგანაშვილის თქმით, საუბნო საარჩევნო კომისიები და კომპლექტება ისე, როგორც მოითხოვს საარჩევნო კანონმდებლობა და საარჩევნო კოდექსის შესაბამისი მუხლი:

„ჩვენი პარტია ცდილობს, მაქსიმალურად მაღალკვალიფიციური კადრი გვეყვადეს კომისიებში წარმოდგენილი. ჩვენ მიერ დანიშნული წევრები არ აღგვევს კანონმდებლობას. ზოგიერთი მათგანი იყო საუბნო კომისიის წევრი, თუმცა მოხდა ყველას გადამხადება“.

ჩვენს კითხვაზე არიან თუ არა სკოლის დირექტორები და პედაგოგები საუბნო კომისიის წევრები, გვიპასუხა, რომ პარტიიდან არც ერთი არ არის ისეთი, ვისაც წინა არჩევნებზე რაიმე ტიპის სანქცია დაეკისრა, თუმცა პედაგოგები შესაძლოა საუბნო კომისიის წევრები არიან და ამას კანონმდებლობა არ კრძალავს:

„პედაგოგები არიან კომისიებში, თუმცა ისინი მათივე განცხადის საფუძველზე, საარჩევნო კომისიამ შეარჩია.“

„ქრისტიან-დემოკრატიული“

მოძრაობის, გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ნინო მურაკაშვილის თქმით, კომისიებში არცთუ ცოტა პედაგოგია წარმოდგენილი:

„კომისიების წევრების კვალიფიკაცია არცთუ როგორია, მაგრამ ჩვენი პარტიის მიერ დანიშნული წევრების კვალიფიკაცია მაღალია.“

რაც შეეხება საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების მუშაობას, ვფიქრობ, მუშაობენ ისე როგორც კანონმდებლობით არის განსაზღვრული. მე ბევრი საარჩევნო უბანი ვიცი სადაც საჯარო სკოლების მასწავლებლები და დირექტორები არიან კომისიის წევრები და თავმჯდომარეები“.

სტატია მომზადებულია გაეროს დემოკრატიის ფონდის მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების დემოკრატიის ფონდის შეხედულებებს.



## ყურძინის გაპოკრაგის გამო ღვიინის კომპანიას მოგების პარკა შეუხიკლავთ

პრემიერის შეფასებას მიმდინარე წელს ყველაზე კარგი რთველის ჩატარების შესახებ ოპოზიციური პარტიების ნაწილი არ ეთანხმება. ვანო მერაბიშვილის განცხადებით, „წელს საქართველოს ისტორიაში ყველაზე კარგი რთველი ჩატარდა“, 2012 წლის ღვიინო ყველაზე კარგი ხარისხისაა, თუმცა ამაზე არ ჩერდებიან და ყოველი მომდევნო წელიწადი იქნება არანაკლები, ვიდრე შემდეგი. თუმცა, გურჯაანში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატის განცხადებით ყურძინის ჩაბარება გლეხებისგან პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით ხდება და ნაწილს ყურძინი ჩაუბარებელი აქვს. მანანა ბერიკაშვილის შეფასებით, რთველის წარმოდგენით ჩატარებაზე საუბარი სასაცილოა.

ღვიინის კომპანიების ნაწილის განცხადებით, წელს ყურძინის ხარისხი საკმაოდ მაღალი იყო, თუმცა მეღვიინებს პროდუქციაში გაზრდილი ფასის გადახდა მოუხდათ.

„თბილღვიინის“ გენერალური დირექტორის თქმით, კომპანიამ, პროდუქციის მიღება უკვე დაასრულა და ჯამში 3200 ტონა ყურძინი ჩაიბარა. გიორგი მარგველაშვილის ცნობით, მიუხედავად ბუნებრივი კატაკლიზმებისა, სალი ყურძინის ხარისხი საკმაოდ მაღალი იყო, წელს ყურძინი საგრძობლად მაძვირებელია და პირველად თეთრი ყურძინის ჩაბარების ფასმა წითლისას გადააჭარბა.

მარგველაშვილის თქმითვე, რთული სათქმელია, როგორ აისახება გაზრდილი ყურძინის ღირებულება 2012 წლის ღვიინის ფასზე, თუმცა ცხადია, კომპანიას მოგების მარჯის შემცირება მოუწევს.

„თელავის ღვიინის მარანის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის განცხადებითაც საკმაოდ მაღალი ხარისხის, 2 ათასი ტონა ყურძინი ჩაიბარეს, თუმცა ზურაბ რამაზაშვილის თქმით, წინა წელთან შედარებით ყურძინის ჩაბარების ფასი თითქმის 100%—ით გაიზარდა, რაც ღვიინის ფასზე აისახება და ეს ცუდია.

## ხანკო ღახუკა საარჩევნო ღღს პარლამენის გაგჭიკვალღვის თღვ

„ქრისტიან-დემოკრატიული“ პარტიის წევრი, ლევან ვეფხვაძე მიიჩნევს, რომ ცესკოს მიერ მიღებული ახალი რეგულაციით უფლებები შეზღუდულია და ცუდი იქნება.

„აღრე კომისიის თავმჯდომარეს შეეძლო ნებისმიერი მიზეზით უფლებების შეზღუდვა საარჩევნო უბნიდან გამოეყვებინა. ახალი რეგულაციები უზრუნველყოფს უფლებების შეზღუდვას და დაიღოს საარჩევნო პროცედურები მთელი საარჩევნო დღის მანძილზე, ვერც ერთი თავმჯდომარე მას ვერ ეტყვის ვადი საარჩევნო უბნიდან“, - ამბობს ვეფხვაძე. ის აგრეთვე მიიჩნევს, რომ უფლებების შეზღუდვა საარჩევნო სუბიექტიდან და ობიექტიდან 3 მეტრიანი დაშორებით დგომით დარღვევების დაფიქსირებაში ხელი არ შეეშლება.

„უბანი ერთი ოთახია, თუ მე-

ცვით, რომ კამერა ვერ დადგება ისე, რომ რამე დააფიქსიროს ეს არასწორი იქნება. შტატივზე შეიძლება აგრეთვე კამერის მოძრაობა და ყველაფრის დაფიქსირება“, - ამბობს ვეფხვაძე. „უფლებების შეზღუდვა დააყენებენ კუთხეში და ისინი დაინახავენ იქიდან მხოლოდ იმ რეალობას, რომელსაც ხელისუფლება ადგენს და გვეუბნება. უფლებების შეზღუდვათ დარღვევის დაფიქსირება და ასახვა რამდენად კანონიერად მიმდინარეობს პროცესი“, - მიიჩნევს „ქრისტიან-დემოკრატიული“ პარტიის მაჟორიტარი დირექტორი, თამარ კორძია და აღნიშნავს, რომ ცესკოს ამ გადაწყვეტილების უფლება არ ჰქონდა, რადგან უკვე არსებობს ამ საკითხის დამარეგულირებელი ნორმა საარჩევნო კოდექსში.

ის განმარტავს თუ რა შეზღუ-

დები ექნებათ უფლებების შეზღუდვის საარჩევნო უბანზე მუშაობისას ახალი რეგულაციის შედეგად:

„უბანზე არ შეიძლება რესპონდენტის ჩაწერა; კამერას თუ გაიტან უკან ვეღარ შემოიტან ანუ იმ რეჟიმში ექცევა მედიასაშუალებას, რომ ორი კამერა ჰქონდეს, - ერთი შიგნით, მეორე გარეთ - თუ სურს, რომ სრულყოფილად დააფიქსიროს რა ხდება, რადგან თუ ერთხელ მაინც ვაგვიდა გარეთ, უკან ვეღარ დაბრუნდება“.

ცესკო-მ ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი „ტექნიკური საკითხების მოგვარებით ახსნა“, კორძია კი ფიქრობს, რომ ამ რეგულაციით, ცესკომ „დახურა საარჩევნო დღეს არჩევნების გამჭვირვალობის თემა“.

მედის წარმომადგენელმა და უფლებადამცველებმა ცესკოს გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლოში გასაჩივრეს.